ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის **2025** წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსავლები	**458 712,0**	**349 996,8**	**76,3%**
გადასახადები	121 066,8	110 892,9	91,6%
გრანტები	233 042,2	136 974,1	58,8%
სხვა შემოსავლები	104 603,0	102 129,8	97,6%
ხარჯები	**286 003,6**	**199 329,0**	**69,7%**
შრომის ანაზღაურება	55 892,3	42 280,8	75,6%
საქონელი და მომსახურება	94 427,0	61 469,9	65,1%
პროცენტი	6 082,5	2 167,6	35,6%
სუბსიდიები	31 898,2	23 457,1	73,5%
გრანტები	15,0	0,0	0,0%
სოციალური უზრუნველყოფა	23 034,7	17 190,8	74,6%
სხვა ხარჯები	74 653,9	52 762,8	70,7%
საოპერაციო სალდო	**172 708,4**	**150 667,8**	**87,2%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**224 835,1**	**117 015,1**	**52,0%**
ზრდა	237 835,1	125 514,1	52,8%
კლება	13 000,0	8 499,0	65,4%
მთლიანი სალდო	**-52 126,7**	**33 652,7**	**-64,6%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-92 977,3**	**18 373,0**	**-19,8%**
ზრდა	0,0	18 373,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	18 373,0	-
კლება	92 977,3	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	92 977,3	0,0	-
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	**-40 850,6**	**-15 279,8**	**37,4%**
ზრდა	0,0	0,0	-
საგარეო		0,0	-
კლება	40 850,6	15 279,8	37,4%
საშინაო	40 850,6	15 279,8	37,4%
ბალანსი	**0**	**0**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსულობები	**471 712,0**	**358 495,8**	**76,0%**
შემოსავლები	458 712,0	349 996,8	76,3%
არაფინანსური აქტივების კლება	13 000,0	8 499,0	65,4%
გადასახდელები	**564 689,3**	**340 122,9**	**60,2%**
ხარჯები	286 003,6	199 329,0	69,7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	237 835,1	125 514,1	52,8%
ვალდებულებების კლება	40 850,6	15 279,8	37,4%
ნაშთის ცვლილება	**-92 977,3**	**18 372,9**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 358 495,8 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2025 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 76.0%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 110 892,9 ათასი ლარი (შემოსულობების 30.9%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 136 974,1 ათასი ლარი (შემოსულობების 38,2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 102 129,8 ათასი ლარი (შემოსულობების 28,5%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე (პრივატიზებიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 8 499,0 ათასი ლარი (შემოსულობების 2.4%).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**349 996,8**	***97,6%***
1,1	გადასახადები	110 892,9	*30,9%*

1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	136 974,1	*38,2%*
1,3	სხვა შემოსავლები	102 129,8	*28,5%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**8 499,0**	***2,4%***
ჯამი		**358 495,8**	***100%***

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**458 712,0**	**349 996,8**	***108 715,2***	***76,3%***
1,1	გადასახადები	121 066,8	110 892,9	*-10 173,9*	*91,6%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	233 042,2	136 974,1	*-96 068,1*	*58,8%*
1,3	სხვა შემოსავლები	104 603,0	102 129,8	*-2 473,2*	*97,6%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**13 000,0**	**8 499,0**	***-4 501,0***	***65,4%***
ჯამი		**471 712,0**	**358 495,8**	***-113 216,2***	***76,0%***

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 76.0%-ია.





<u>შემოსავლები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 458 712,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 349 996,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 76.0%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

<u>გადასახადები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 110 892,9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 121 066,8 ათასი ლარის 91,6%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 51 494,3 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 59 398,6 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 30.9%-ს.

<u>გრანტები და ფინანსური დახმარება</u>

2025 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 136 974,1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 233 042,2 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 136 379,2 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი 80 949,6 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი 55 303,3 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 126,3 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა ჯამში - 596,3 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების (გრანტები) წილი 38.2%-ია.

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2025 წლის საპროგნოზო მოცულობა 104 603,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 102 129,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 97,6%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 28,5%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 14 580,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 12 239,1 ათასი ლარი;
- **რენტის** სახით მიღებულია 2 341,7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 67 396,6 ათასი ლარი, აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 66 814,1 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 5 187,6 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** - 0,8 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 56 607,0 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 3 964,4 ათასი ლარი;

- **სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი** - 1 054,3 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 582,5 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 15 185,3 ათასი ლარი.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 4 967,1 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



<u>**არაფინანსური აქტივების კლება**</u>

2025 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 8 499,0 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 65,4%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე** 2025 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 26 804.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2 637,8 ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 6 719,1 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 17 447,3 ათასი ლარი;

- **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება** 182 808,9 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 85 149,9 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 35 403,7 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 29 593,2 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 23 505,8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 960,5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 6 101,9 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 2 094.0 ათასი ლარი.

- **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება** 39 653.9 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 18 598,5 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 21 055,4 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა 31 603,8 ათასი ლარით, მათ შორის:**
  - სკოლამდელი აღზრდა განათლება - 31 454,3 ათასი ლარი;
  - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 149.5 ათასი ლარი;

- **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** 24 480,5 ათასი ლარით, მათ შორის:
  - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 7 020,1 ათასი ლარი;
  - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 5 224.7 ათასი ლარი;
  - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 3 849.0 ათასი ლარი;
  - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 3 588.4 ათასი ლარი;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 4 605.3 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 193.0 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა** 24 466.6 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ჯანმრთელობის დაცვა - 7 860.1 ათასი ლარი;
  - სოციალური უზრუნველყოფა - 15 708.9 ათასი ლარი;
  - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 899.6 ათასი ლარი.

- **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარების დაფინანსება** 621.0 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ქალაქის ურბანული განვითარება - 609.8
  - ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 11.2

- **მუნიციპალური სერვისების განვითარებიდ დაფინანსება** 9 681.8 ათასი ლარით, მათ შორის:
  - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 9 681.8 ათასი ლარი.

2025 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 340 122,9 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 564 689,3 ათასი ლარის 60.2%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი (10 თვე)	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**286 003,6**	**199 329,0**	**69,7%**	**58,6%**
1	**შრომის ანაზღაურება**	**55 892,3**	**42 280,8**	**75,6%**	**12,4%**
2	**საქონელი და მომსახურება**	**94 427,0**	**61 469,9**	**65,1%**	**18,1%**
3	**პროცენტი**	**6 082,5**	**2 167,6**	**35,6%**	**0,6%**
4	**სუბსიდიები**	**31 898,2**	**23 457,1**	**73,5%**	**6,9%**
5	**გრანტები**	**15,0**	**0,0**	**0,0%**	**0,0%**
6	**სოციალური უზრუნველყოფა**	**23 034,7**	**17 190,8**	**74,6%**	**5,1%**

7	**სხვა ხარჯები**	**74 653,9**	**52 762,8**	**70,7%**	**15,5%**
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**237 835,1**	**125 514,1**	**52,8%**	**36,9%**
III	**ვალდებულებების კლება**	**40 850,6**	**15 279,8**	**37,4%**	**4,5%**
გადასახდელების ჯამი		**564 689,3**	**340 122,9**	**60,2%**	**100%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 42 280,8 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12,4%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 61 469,9 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 18,1%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2 167,6 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0,6%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 23 457,1 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6,9%.

გრანტების სახით დაგეგმილია 15,0 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 190,8 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 5.1%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 52 762,8 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 15,5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 125 514,1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების - 36,9%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 15 279,8 ათასი ლარი, ხვედრითი წილი 4.5%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები (10 თვის საკასო შესრულება - 340,122.9 ათასი ლარი)